



ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო განკარგულება №3/5

2017 წლის 26 იანვარი
ქალაქი ფოთი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ ფოთში, რუსთაველის რკალზე მდებარე 6.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.02.07.546) სსიპ „112-სათვის“ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, აუქციონის გარეშე გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის შესახებ

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერის შესაბამისად ქალაქ ფოთში, რუსთაველის რკალზე მდებარე 6.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.02.07.546) წარმოადგენს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებას.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ „112“-ის დირექტორის 2016 წლის 08 ივლისის #MIA 0 16 01691308 წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ სსიპ „112“ გეგმავს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სსიპ „112“-ის საინფორმაციო ბანერების განთავსებას, რომელიც ხორციელდება გადაუდებელი დახმარების ერთიანი ნომრის შესახებ საზოგადოებრივი ცნობადობის ამაღლების ერთიანი კამპანიის ფარგლებში.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წინადადებით შემოვიდა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ ფოთში, რუსთაველის რკალზე მდებარე 6.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.02.07.546) სსიპ „112-სათვის“ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, აუქციონის გარეშე გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მისაღებად.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 122-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია მუნიციპალიტეტის ქონება უსასყიდლო აღნაგობის, უსასყიდლო უზუფრუქტისა და თხოვების ფორმებით, აუქციონის გარეშე გადასცეს სახელმწიფოს და ავტონომიური რესპუბლიკების ორგანოებს, სხვა მუნიციპალიტეტს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს (გარდა პოლიტიკური პარტიისა), მუნიციპალიტეტის/მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, საწარმოს, რომლის წილის ან აქციათა 50%-ზე მეტს ფლობს/ფლობენ მუნიციპალიტეტი/მუნიციპალიტეტები, ან თავად ამ კერძო სამართლის იურიდიული პირის მიერ დაფუძნებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირს.

ამასთანავე, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის #669 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად გარდა თბილისის

მუნიციპალიტეტისა, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, მუნიციპალიტეტის ქონებას უსასყიდლო აღნაგობის, უსასყიდლო უზუფრუქტისა და თხოვების ფორმებით, აუქციონის გარეშე, გადასცემს სახელმწიფო და ავტონომიური რესპუბლიკების ორგანოებს, სხვა მუნიციპალიტეტებს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს (გარდა პოლიტიკური პარტიებისა), მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებსა და მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ საწარმოებს.

სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 23 სექტემბრის #15/12/2054 წერილში აღნიშნულია, რომ ქალაქ ფოთში, რუსთაველის რკალზე, სსიპ „112-ის“ საინფორმაციო ბანერის განთავსების საკითხი განხილულ იქნა სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონებისა და ურბანული მემკვიდრეობის სექციის სხდომაზე, სადაც საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.

ამდენად, მიზანშეწონილია ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ ფოთში, რუსთაველის რკალზე მდებარე 6.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.02.07.546) სსიპ „112-სათვის“ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, აუქციონის გარეშე გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემა, მიწის ნაკვეთზე სსიპ „112-ის“ საინფორმაციო ბანერის განთავსებისათვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე:

მუხლი 1.

მიეცეს თანხმობა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ ფოთში, რუსთაველის რკალზე მდებარე 6.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.02.07.546) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, აუქციონის გარეშე გადასცეს სსიპ „112-ს“.

მუხლი 2.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის შესაბამისად, განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მის. ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №3).

მუხლი 3.

განკარგულება ძალაშია 2017 წლის 26 იანვრიდან.

